

ხელის-მოწერა:



«ივერიის» ფასი

ერთი წლისა, გაცემით ღირებულება 7 მ. —
სახვედრის წლისა 3მ. 50კ.
თითო ნომერი « 15 კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწო-
რებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოცემულ
წერილებს.

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში
მოწმინდის ქუჩაზე, შიოშვილის სახლის მე-
მოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ახლანდელ ლიხთაძის ბიბლი-
ოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს
ენებზე.

ს ა ჰ ო - ლ ი ტ ი კ ო დ ა ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო გ . მ ე თ ი .
გამოდის ხუთშაბათობით

მსურველთ შუგულთან გამოიწერონ «ივერიის» პირ-
ველს მკათათვიდამ ვიღრე მომავალ პირველს იანვრამ-
დრ. ფასი ნახევარის წლისა ს ა მ ი მ ა ნ . და ა თ ი შ ა უ რ ი .
ტფილისში მცხოვრებთათვის ხელის-მოწერა მიიღე-
ბა უფ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქაშვეთის ქვე-
მოთ ლუქნებში, № 2. გარეშე მცხოვრებთათვის
აღრესი შემდეგია: ВЪ Тифлисѣ, въ редакцію га-
зеты «ИВЕРІЯ».

პირად მოსალაპარაკებლად რედაქცია მიიღებს
ოთხშაბათობით დილის ათი საათიდან ვიღრე
შუაღლის ორ საათამდე.

სამძიებელი: I. საქართველოს მატინე. «ივერიის» კორ-
რესპონდენტები) წერილი გასიღამ, აბაშთუბიღამ. — II. საზოგ-
ოტიკო მიმოხილვა. — III. საქართველოს სამზღვრებს სომ-
ხეთის მსრევ იჭკენ სომხები. — IV. ბიბლიოგრაფიული
ცნობა: ორიოდ სიტყვა ხეგნს სემეწვილო ლიტერატურაზე.

საქართველოს მატინე
წერილი კახილამ
(«ივერიის» კორრესპონდენცია.)

დღეს საქათალის მასრის უფროსის გამკეობამ
გამოაცხადა ერთი იმ გვარი განკარგულება, რომელიც
გახსარებს ანა ერთს საწვალს გლეხს. ვისაც ვი წაუ-
კითხავს «ივერიის» დაბეჭდილი კორრესპონდენციები
კახილამ, ცოტაოდენად ეცოდინება რა გვარი უნთი-
ერთობა სუფევს ჩვენ ვაჭრებთან და ადგილობრივ
მცხოვრებთან შორის. ჩვენი უწინდელი მმართველობა
(ადმინისტრაცია) დიდად წდილობდა მომუტებული ვა-
ჭრები გადმოესახლებინა საქათალის მასრისაში, მაგრამ

იმავე დროს სრულიად ან უსრუნვია ადგილობრივ
გლეხკაცობის დაცვისათვის ამა ვაჭრებისაგან, რომელ-
ნიც თავის ნებით და ძალმომრეობით ექცეოდნენ გლე-
ხის ქონებას. ამის გამო მრავალი გლეხ-კაცი სრუ-
ლიად დაგლახდა. თუმიც ჩვენში სამი სავაჭრო ადგი-
ლი (ბასარი) სუფევს (სოფ. კახში, აღაბაღში და
ქ. საქათალს), მაგრამ ჩვენი ვაჭრები ამით ან გზ-
ეფილდებიან და იფანტებიან საქათალის მასრის
ყველა სოფლებში, სადაც მოშორებულნი ყოველ გვარ
ზედაშედეგლობას, ანამც თუ სწარცვენ ხალხს, ანა-
მედ შეაქვთ აგრეთვე მის ოჯახში ყოველგვარი სი-
ბილწე და გარყვნილობა, რომლის გამოც ანა ერთი
ვაჭარი მოუკვავთ ან დაუჭრინათ. ბოლას ხალხმა
გვარ მოითმინა და ინიღლა მასრის უფროსთან,
ზოდზოლკავნიც სენაფიმოვიჩთან და სთხოვა დაგვის-
სენით ამ გვარ ვაჭრებისაგანაო, რომელნიც ვითომ
მასრის წამბეცებისათვის ანიან მოწვეულნი. ამ ჩი-
ვილის გამო მასრის უფროსმა ბძანება გამოსცა,
რომლის ძალით ყველა ვაჭრები, რომელნიც სოფელ-
სოფელ ანიან გაფანტულნი, უნდა იმყოფებოდნენ
მხოლოდ იმ სამ ადგილას, რომელნიც ვაჭრობისათვის
ანიან დანიშნულნი (კახში, აღაბაღში და საქათალსში),
რათა ბოლო მოედოს ყველა იმ ცუდ-კაცობას, რა-
მელსაც სჩადიან ვინ იცის საიღამ მოწვეულნი გამნათ-
ლებელნი ჩვენს ქვეყნისა. ამის იქით მათი სავაჭრო
მოღვაწეობა ნაიბების ზედამხედველობის ქვეშ უნდა
იყოს.

ჩვენი სასამართლოს პრესტავიც საოცარ საქმეებს
სჩადის (ხოლო მის წინააღმდეგ ანაგითარი მომიტე-
ბა ან ანის ხმარებული, თუმიც გასკეთებში ბევრი რამ

იყო ნათქვამი). მივერის მისი სიამაყე. უნდა მოგახსენოთ, რომ მოძრაობელი მოსამართლე ესაა აქ არ არის და ამიტომ გლეხ-გაგის საჩივრის შეტანა არის არ შეუძლიან. ამით სარგებლობს შემოხსენებულნი ზრისტავი, რომელსაც საცხოვრებლად კახის უჩხსტკა აურხეია, და ღლითი ბასარში თითქმის შუა ქუჩაში საეკლესიო კაცებს ძვალს ეთამაშება, ღამე კი დაეცემს ხალხს გლეხი-გაგის სახლს, განშემოართყვას თვის ამხანაგებს და იწეებს ქონების აღწერას (გალებისათვის), და ამასთანავე გლეხის უსაჭიროებს ნეფოსაც არა ზოგავს. აი მაგალითიც: ერთის ინგილოს იმაშ ღაღ გელაშვილის სახლს ამას წინად მიაღვა რაღაღა ხალხი შემოხსენებულთა ზრისტავის წინამძღობლობით. ამა წინამძღობლმა აწქედა ვაღში იმ ინგილოს ყოველი მისი ქონება და სხვათა შორის ერთად ერთი ცხენი, რომელიც ზატარისათვის ძალიან საჭირო იყო, რადგანაც გელაშვილი ორივე ფეხზედ კოჭლობს და ამიტომ სიარული არ შეუძლიან; თავის საქმისათვის ყოველთვის ცხენით გამოდიოდა. ურიგო არ იქმნებოდა რომ ყურადღება მიაქციონ, ვისიც ჯერ არის, იმ ზრისტავის მოქმედებას.

* * *

ბევრსა ვჩივით იმ უწესობებსზედ, რომელიც სუფიებს ჩვენ ფოშტის სტანციებში; რომლებიც უჭირავს ვიღაც არტემ ანუთინოვს, მაგრამ გერა გაგაწვეთ რა. სტანციები იმავე მდგომარეობაში არიან, როგორც უწინ იყვნენ, იუმშიკები არ არიან, ცხენები დღეს თუ ხვალ დაიხრებინან. მგზავრი ზოგჯერ ორჯერ საათობით არის გაჩერებული, რადგანაც ხან ურძის თვალი გაუტყვდება, ხან ადვილი წაუხდებათ ცხენებს და სხვა. ნუ თუ არტემ ანუთინოვზედ უფროსი ფორტის გამგებობაში არავინ არის?

სანდრო.

ორიოდე სიტყვა ჩვენებურ ავადმყოფობაზე, რომელიც სამკურნალო წყლებზე მიდიან.

აბასთუბანი. (ივერის კორპორაციის კორპორაციის) ბუნებას ჩვენი სამშობლო სხვა სიმდიდრეების გარდა სამკურნალო წყლებითაც უხვად შეუძვეს. ზოგაერთნი ამ უკანასკნელებიდან ძმა-მანდიანვე სახელ-

განთქმულნი არიან და დღეგანდღამდის ყოველ წლივ ბლომად იზიდავენ ხალხს სხეულებს, დიდის სასიკეთო მოძრაობაზე, ხანდის-ხან რაოდენიმე დღის სავალდამამსთანავე, მგონია, თითქმის ყველას თუ არ უნახავს, გაუგონია მანც იმისთანა სამწესიერო შემთხვევანი, როდესაც წყლებს სარგებლობის მაგიერად გეზა-მოუტანია და ავადმყოფი მოძრაობისა. ანუ თავის სენის ბევრად თუ ნაკლებ შემდგომის მაგიერად, უფრო დაუძლურებული და სულიც დაუღევი. უძებნენ ნაწილად მიზეზი ამნაირ შემთხვევისა ის არის, რომ ზოგაერთნი ავადმყოფები, მეტადვე დაბალი ხალხი, მიდიან წყლებზე ექიმის დაუკითხავად, ისინი ხელმძღვანელობენ მხოლოდ ამ გვარის მაგალითით: ესთქვით, ვისმე აქვს ხელი ან ფეხი შეხუთული, ამასთანავე იმან იცის, რომ აბასთუბნის ცხელ წყლებს მოუჩვენათ ამნაირი ავადმყოფები. ამ ცნობებით ის სრულებით კმაყოფილდება და პირველ ზაფხულსავე, თუ აძლევენ მას საშუალება ნებას, მიდის აბასთუბანში და ბანაობს ცხელ წყლებში. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ამ ავადმყოფს ხელ-ფეხის ხუთის გარდა სხვა კიდევ იმ ნაირი სხეულებაც აქვს, რომ ბანაობს ცხელ წყლებში უეჭველად ბევრად თუ ნაკლებ აგებს, მაგალითობრ, ფილტვები აქვს გაუჭკობული ან გული და სისხლის. მატარებელი ძარღვები აქვს ნაგნები. რაღა ღაღაღა უნდა, რომ ეს ავადმყოფი თუნდა რომ კიდევაც მოიშოროს ის სხეულებს, რომლის მოსარჩენად წყლებზე წავიდა, გაის გაუყვება და უის შეუერთებს; მერე ვინ იცის რანაირი უი იქნება, შეიძლება იმისთანავე, რომ თანაც გადაიტანოს.

გასაკვირველი ის არის, რომ ექიმის დაუკითხავად მიდიან წყლებზე და იქ ბანაობენ არამც თუ მარტო შეუძლებლები, შემდგომებიც — ექიმის რჩევა კი წყლების ამოძრაობაზე მიუხედავად სარგებობას, და თუ რომელიმე ექიმი საიმისოდ უსვინდისო იქნება, რომ ღაღაღის მანც უფულოდ რჩევას არ მისცემს, ამ შემთხვევაში სეგ ჯანი გავარდეს მანეთს: ვინ იცის მაგ მანეთმა რა უბედურებიდან დაიფაროს.

ამნაირი შემთხვევებიც არ არის იშვიათი: ესთქვით, ერთხელ ექიმმა უჩინა ავადმყოფს წასვლა რომელსმე წყლებზე და თუ ეს წყლები ბევრად თუ ნაკლებ მოუხდა, შემდეგ წყლებში, თუ შეიძლება ნებას აძლევს,

სწორად ეჭიძის დაუკითხავადვე მიდის: აქა და ადრე მოძიხდა, ახლაც მოძიხდება. იმას კი არა ფიქრობს, თუ ამ სწის განმავლობაში მისი აგებულება შეიძლება იმ წინადად შეცვლილიყოს, რომ ადრე დანიშნული წყლები ახლა აგებენ. ამ საფუძვლში მე მოძიხდა ყოფნა აბსტუბანში რადენიმე დღით და იმ მოკლე ხანში ორი გნახე ამ შემთხვევის კაცი, ორის კაცისათვის შარშან ერჩიათ ეჭიძებს ბანაობა აბსტუბანის წყლებში და ეს წყლები მართლაც მოხდენოდან. წელს ის ორივე პირნი ისევ ჩამოსულან ეჭიძის დაუკითხავად საბანებლად, თუმცა ერთი მათგანი საშინლად დასუსტებულია ციებ-ცხელებისაგან და მშინ, როცა მე გნახე კიდევ არ დაენებებინა თავი ციებას, მეორეს—ეი ეჭიძის ჩხვიას შემდეგ შეეძინა გულის ფრიალი. კიდევ კარგი, რომ ეს პირნი მალე ეჩვენენ ეჭიძს, რომელმაც, რასაკვირველია, მაშინვე აუკრძალა განგრძობა ბანებისა, თორემ ვინ იცის, რითი გათავადებოდა საქმე.

სამკურნალო წყლების ახლო-მასლო სოფლების მცხოვრებლები სო ამ შემთხვევაში უფრო ურიგოთ იქცვიან. იქ კაცი რითაც უნდა განდეს ავად, იმ წამსვე წყლებში ბანებას დაიწყებს, მაგალითობრ, მარამობისთვის დამლევს და ენკენისთვეში, როცა აბსტუბინიდან და სხვა ქალაქებიდან მოსულები დაიბვირან, მოატყდებიან ხოლმე ამ წყლებს ახლო-მასლო მცხოვრებლებიც, და ბრალისანი და უბრალო დაიწყებენ ბანებას.

ი. გ—ძე.

საზოლიტიკო მიმოხილვა

კონგრესი გათავდა, მაგრამ სვალანდელს დღეს მანტ დრუბლები დაქსტრალაებენ. ვიღაცამ, მგონია გამოქვნილმა პატრემ გაჯცციმ დიპლომატია უპილო ბებურს დადაარს და მისი მოღვაწეობა უგბილო ბებრის ცოხნასა. ჩვენა გვგონია, რომ ეს სახლები დღესაც ზედ გამოაჭრილია. დიპლომატიამ ღეჭა-ღეჭა ეს აღმოსავლეთის საქმე და უგბილობით რომ ვერ მოერია ისე დაუღეჭავად გადაჭყლავა. უღეჭი საზრდო არგებს დიპლომატიის სტომასს თუ არა, ეგ ბოლოს გამოჩნდება. ესლა კიამას ვიტყვით, რომ აღმოსავლეთის საქმე შეფერხდა და არა შემთავრდა და გადაწვდა. მისი გადაწვევა სამეპრისოდ

არის გადადებული და ვინ იცის კიდევ რამოდენი სისსლი დაიღვრება და რამოდენა ნაღვაწი დაინთქმება.

მანტ სომ ჭქმნა რამე ქვეყნის საკეთილად გონგრესმა, იკითხავს გაკვირვებული მკითხველი? უპირატესნი ჭკუიანი კაცნი ამ საუკუნისანი შეიყარნენ და რუთუ ტუეილ უბრალოდ ილაქლაქესო და შრომა გაჭსწიესო? არა, პატონებო, ტუეილ უბრალოდ არ ულაქლაქინიათ. იმათ, იმ ჭკვიანმა კაცებმა მარტო ის ჭქმნეს, რომ განსაცდელი თავის-თავს მოაჩიდეს და ჭსთქვის: ჩვენს შემდეგა, თუნდ ქა-ქვასედაც რუ იქნება, ოღონდ ესლა კი, მინამ ჩვენა ვართო, რუ წამოდგება ფესზედა ის ცხრა თავიანი დეეო, რომელსაც აღმოსავლეთის საქმეს ეძახიანო.

ეს აღმოსავლეთის საქმიანე დასვლაჭნილია ოდითვე, იმდენის საფეთქებულის წამლებით არის გაკსილი და გატენილი, რომ უგელა შიშობს ნეტავი მინამ მე ვარო, არ იფეთქესო და მერე რაც უნდა, იგი ჭქმნასო. ბერლინის კონგრესს თავი დამ ფეხამდე ამ აზრის ფერნი ედო და მას ნაღვაწსაც იგივე ფერი დაედო. საქმე ისე გაათავა, რომ არც ერთი მხარე, არც ერთი სახელმწიფო, არც ერთი დევნული ბედისაგარ ერთი არ დააკმაყოფილა და უგელას დღევანდელის მშვიდობის მაგიერ სვალანდელის პაღღამი ხაწვეთა. დღეს გუშინდელას ომის გრიალით გამოურეგებული ადამიანი შიშით უმზექს სვალესა, რომელიც უფრო სისხლის მღვრელი, უფრო სასტიკი და შეუწყნარებელი იქმნება.

ჩვენის ფიქრით, კონგრესსედა უგელას თავისი საკუთარი საქმე ჭქონია და არა აღმოსავლეთის საქმე. აღმოსავლეთის საქმე მარტო მიზნად იყო და არა საგნად. ბიკონსთილდმა, თუმცა ინგლისს კარგი ლახათიანი დუგმა არგუნა, ესე იგი, მდიდარი და მრავალ მნიშვნელობიანი გუნდული კიპროსი სელში ჩაუგდო და მცირე აზისშიაც დიდი ხმა შექმინა, მაგრამ ამას არ დაჭსწერდა, ეს საუგელ-პერო საქმიანო, სამეპრისოდაც პოლიტიკის ფონი უნდა გავსინჯოთ. გასინჯა კიდევ და დაინახა, რომ სვალ თუ რამე მოხდა, ძლიერა გუელით, სუელით და ფუელით საფრანგეთი ინგლისს მხარს მიჭსტყმსო. ინგლისის სამეფო ტასტის შემკვიდრე რომ ეგრე გერეგურება გამებეტას ეგ სახუმარი საქმე არ არის და გამებეტამც რომ ლბილად დაიწყო ამ ბოლოს დროს დაბარავი ბერლინის კონგრესის მოღვაწეობაზედა — არც ეს არის უთვა-

ქველადე და მიწდატამდე, რომელნიც მეფობდნენ 113—129 წელს ქრისტეს შემდეგ.

იმ მხარეს, რომელიც სომხებმა ქართველებს ჩამართვეს, ჭსაზღვრავდა მთის ქედი, რომელიც შეკავშირებულია თრიალეთის მთასთან და აქედამ მოკიდებული მისდევს ჯერ ჩრდილოეთით სამხრეთად, შემდეგ დასავლეთით აღმოსავლეთად ვიდრე გოგნის ტბამდე და რომელიც სასულ-ცნობილია პამბაკად და ბეზობდალად. ეს ქედი შედგენს მცირე კავკასიის ნაწილს და ჭეოფს ერთი ერთმანეთში რის მდინარეს მტკვარს და აჩაქს. მოქალი მხარე აჩის ნაწარმოები ქვესკნელის ტეცხლისა. აქ მრავალი რკინისა და სპილენძის მადნები, მტკვარე ლელვარის მთაში, რომელიც ამ მხარის შუა-გულში მიემართება და რომელიც ჭინწინავს გამოთარგმანებით მდინის მთას. აქ ვახუშტის თქმით, მსარკინეთს ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძისა, და იზოების მცირე ლავკანდითა. აქ აწინდელის გამოკვლევით, დეპედის ხეობაში, ძველის დროდამ მოქმედებენ სასულ-განთქმული მადნები: ალავერდისა და ანტალისა, თვით ირავლი მუარის დროს ამ მადნებიდამ გამოქვანდათ რეგორანტე კიტცლი, აგრეთვე ოქროცა. აქ მრავალი მადნები აღმოაპოვეს აგრეთვე იმ ადგილში, სადაც ბამბაკის და ბორჩალას მდინარეები ერთი მუარეს ერთიან ¹ აქ შესანიშნავი მდინარეებია: ბერდუჯი ანუ დეპედა (ახლს კარტბეზე ბორჩალა) და ხრამი, მასუგან ალგეთი და ქცია. ვახუშტი სწერს თავის გეოგრაფიაში: ეს მხარე უჩრდეს შემკობილი ყოვლითა. ვენახნი და ხილნი მრავალნი, აჩამედ მთის კერძოდ აჩა აჩს; თესლნი ყოველნი ნაყოფიერებენ. ძროწელნი, არგები, კალტნი ღორთა, ჯოგნი მრავალნი. ღვინო მრავალი. მთათა ნადირი ურცხვი, და მფრინველნი, რომელნი ალვსწორეთ, უთვალავნი. ჭაერი ქცია-ბერდუჯის მდინარეთ გადასა ცხელი, უმშენი, გასულისი, სხვათა ადგილთა კეთილი. ტყენი ბევრნი, წყარონი ცივნი და მშენნი, უამრავნი. და ქციის სამხრით ველი იყო უწელა, გაილა 94 მეფემან ვახტანგ ძველი რუ, და აწიწვეას მით და ნაყოფიერებს ფრიად. ამ ადგილთა შინ მისახლენი აჩიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, აჩამედ ქცეა-ზნით

ქართულითა. სახლბენ თავადნი, სოფლა აზნაურნი მრავალნი ¹. აქ იყო ცხენ-სიმაგრეები: განიანი ანუ სანადირო—ქალაქი, ღორი, ბოლნისი ². აქ იყო მანასტრები და ტაძრები; აგარაკი ანუ ანტალა ³, ბოლნისის კეგელისა ⁴, ანტი და სანაინი ⁵. შემოდ მოსხენებული მტკვარის და აჩაქსის მსაზღვრავი მთის ქედი ჭეოფდა ქართველს ტომს და სომხის ტომს; იმისი ჩრდილო კალთა ეკუთნოდა ქართველებს, სამხრეთი კალთა—სომხებს. ის ქედი ჭსაზღვრავდა ქართულ ენას და სომხურ ენას ⁶. უძველესის დროდამ ეს მხარე შეადგენდა რჩ საერისთავოს: ხუნანისას და სამშვილდისას ⁷. ვაი-სანი იმას სომხები ქართველებს ედავებოდნენ, ქართველები სომხებს. ის სან ბირველთ ხელში იყო, სან მეორეთ ხელში. იმას უწოდებენ სომხები გუგარკად ანუ საქართველოდ, ქართველები—სომხეთად. ეს უგანასკნელი სასულ-რედასა შემოდის საზოგადო სმარებაში მეთორმეტე საუკუნეში, დავით-აღმაშენებელის დროდამ. ძველის დროს ბერძენებს მწერალნი სტრაბონი, პტოლომე და სტეფანე ვიზანტიელი იმას სასულ-უწოდებენ გოგარკენად ⁸. სომხის არშავილების დროს გუგარკის საზღვრები შეიცავდა დიდს სიგრძეს. ამ საზღვრებში მდებარებდნენ—კლარჯეთი, ანტიჭანი, ჯავახეთი და თრიალეთი ⁹. მისე სორენელი იტყვის, რომ გუგარკი შეადგენდა საქართველოს ნაწილს ¹⁰. გუგარკის დედა-ქალაქად ირცხებოდა ცოტავი, ანუ ვახუშტის თქმით, სანადირო ქალაქი ¹¹. აქ ისხდნენ გუგარკის პატარაშნი, ანუ ბდეშნი, ანუ ჩვენებურად ერის-თავნი. პატარაშნი იყვნენ უახლოესნი მეფის მზრახველნი და უმთავრესნი ქვეყნის გამგენი. ძველად უჩვენებდნენ ოთხ პატარაშს: გუგარკისას, ანტინ-

1 ვახუშტ. გეოგრ. გ. 146.
2 შმა, გვ. 145.
3 შმა, გვ. 143.
4 შმა, გვ. 145.
5 შმა, 139.
6 Vix. de S—Mart. Recherches sur les populations du Caucase, p. 100—101.
7 ვახუშტის გეოგრ. გვ. 1, 80.
8 S—Mart. Mém. sur l' Arm. t. I, p. 81.
9 lb I, 82—83. Lebeau, Hist. du Bas-Emp. XV, 490—491.
10 Addit. et 'Eclairc. á l' Hist. de la Géor. p. 125. Mém. sud l' Arm II, 355, 366.
11 ვახ. გვ. 142 n. 1. Addit... 109 n. 3.

1 Геологические очерки Кавказа Щуровскаго, Рус. Вѣстн., мартъ 1862 г., стр. 72—75, 92—94, 106. ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 146.

ვისას, ანტიკათ-თუნისას და კორდუკისას¹ მოსე სოკინელის თქმით გუგარკის პატრიარქს ეპერა უპირველესი ადგილი ყველა სამსახურის პატრიარქსებთან რიცხვში: სამეფო ნადიმში ის უპირველესობდა მარჯვნივ მეთვისს, ჯარში უფროსობდა ხრდილთა—მსრივ და ბძანებლობდა 22 თავადს². როდესაც ქართველთა მეფენი ჭფობდნენ გუგარკს ანუ სომხეთს, მაშინ აქაური ერისთავი პატრიარქსადვე სახელ-იწოდებოდა³.

რასაც აქ ვამბობთ სომხთაგან იმართის საზღვრების გავრცელებაზე, ის დაფუძნებულია სომხურს ცნობაზე. იმას თვით ქართლის-ცხოვრებულ ეთანსმება. ის იტყვის: «ხოლო ადრეისთავს მეფენი ფარსმან და კარს (72—87 წ. ქრისტეს შემდეგ) იყვნენ მოწინააღმდეგენი სომხთა მეფისასა, უიეტეს არმაზელნი მეფენი შეეწოდეს სომხთა ყოველთა მტერთა მათთა ზედა.....მაშინ მეფე იქნა სომხითს დიდი იგი მეფე იარვანდ და ემძლავრა ფარსმანს არმაზელსა და მიუღო საზღვარი ქართლისსა, ქალქი წუნდა და არტანი მტკვრამდე..... და ვერ იძენეს მეფეთა ქართლისათა საზღვარი და მოკვდეს მწუხარებასა შინა დიდსა ფარსმან და კარს... იმათ შემდეგ გაემეფდნენ აზოკ და არმაზელ (87—103 წ.) შეათქმნეს იგინი და განიზარახეს ძაბად საზღვართა ქართლისათა. მაშინ მოკლა სუმბატ ბივრიტიანისმან იარვანდ, მეფე სომხთა დასვა მეფედ მის იარვანდისა არტაშან⁴.»

ხუთ ამას წინადა, ვაჭარმაკ სომხის მეფის დროს, მოვიხსენიებთ მოღვაწეობას და დიდებას შამხუ პატრიარქისა სუმბატი იყო შთამომავლობით პატრიარქი, მე ბიურატისა, ქართლის-ცხოვრების ბივრიტიანისა, რომელიც არ არის ისტორიაში ცნობილი. როგორც ხუენს წელთ—ადწერაში, აგრეთვე სომხურ სწინაგამში ის დიდ სახელგანთქმულია. იარვანდ ანუ ერვანდ მეფის მოკვლის შემდეგ სუმბატმა იხსნა სიკვდილისაგან ემწვილი არტაშენი, შორეული ნათესავი და არა მის ერვანდისა, ფარულად შეიკვანა ის სპარსეთში, სადაც მეფობდა იმ დროს

მეფე დარქნი ანუ ვოლოგუზ არშაკიდი, გამოსთხოვა იმის ჯარი და ამ ჯარის შემწეობით დასვა არტაშენი, 78 წელს, სომხეთის ტახტზე. სუმბატის სამეფობდელი იყო სპერის მასლობლად, სუმბატაგანმა. სომხის მეფის ვაჭარმაკი სდროს პატრიარქების სასტრატეგო ანუ საერისთავო მდებარეობდა სომხეთის დასავლეთის საზღვრად¹. სუმბატი დიდად დასახუქდა არტაშენმა. «გარდა გვირგვინის დადების უფლებისა მეფის თავზე, გარდა დასავლეთის ჯარის წინ-მძღობლობისა მეგვიდროებით, არტაშენმა მიანიჭა იმას მთელის სომხეთის სპათა—ბძანებლობა და გამგეობა როგორც სამეფო სახლისა, აგრეთვე ყველა სამეფო მოხელეებისა.—სუმბატ იყო მოსული თავის ასოვანების შესაფერად; ის იყო შემეფილი მამზიდავის ქველას-მოქმედებით და ტურფა ჭვარით; მოძრავი ტანით და მთელის გუბით; ფრთხილი ყოველშეკე, ის ყველაზე მომატებულს წარმტებას აღმოიჩინდა ყოველსავე ბძობლასში².» თვით არტაშენის მოღვაწეობა, იტყვის მოსე სოკინელი, ცნობილია რამდენიმე ანუ მოღვაწეობა ქებათაგან. არტაშენმა სძლია მტკვრის ზირად აღსახეს³, რომელიც მთიულთ და იბერიულთ თანა-შემწეობით დაესხნენ სომხეთს, და თვით აღსახის მეფის მე დასტყვივს შემდეგ მიზიდული აღსახთ მეფის ასულის სატანიკის სიტურფით⁴, შეუღლდა იმას და ჭშო სხვათა შორის მე არტაშენი. სპარსთ მეფის არშაკის სიკვდილის შემდეგ არტაშენი დაჭსვამს სპარსეთის ტახტზე იმის ძეს თავის მოსახელე არტაშენს; მაგრამ ამ შემთხვევის გამო ვასბანი⁵ აიშლებიან და არტაშენი სუმბატის თანა-შემწეობით იმათ სძლეეს და დაამსვიდებს. რომის იმპერიაში მოხდება არეულობა; ამ შემთხვევით არტაშენი ისარგებლეს და სარკის მიტემას იმათთვის უარ-ჭეფოს; იმპერატორი დომიციანი, გულ-მოსული სომხეთზე, წაგზავნის იქ თავის ჯარს; ბაზიანში ორივე მხარე

¹ Mém. sur l' Arm. I, 79. Hist. de la Siounie, II, 6—7.
² Hist. de la Siounie, II, 6, n. 3.
³ Hist. de la Géor. I, 227, 238, 241, 248, 250.
⁴ ქართ.-ცხ. გვ. 48.

¹ Hist. de la Géor. I, 66 n. 1.
² История Армении, стр. 112—116, 119, 123—124.
³ აღსახი არის ქართველების ოსები.
⁴ Lebeau, Hist. du Bas—Emp. III, 276, 277.
⁵ ვასბანს უპირებდნენ მეფედ აღსახის მასლობლად, მტკვრის პარფენა მხარეზე, ამ მიზნების სართავის მასლობლად. სენ-მარტენი ფიქრობს; ვითომც ეს მხარე ის ადგილი იყოს, რომელსაც ახლა ეწოდება მულანი. Lebeau, Hist. du Bas—Emp. III, 286 n. 2.

სუბსტრუქტის გამოკვეთილი შემოვიდა ქართლად, მთა-
 კისრის ქართლი, რომელ ჰქონდა ციხეთა და ქალაქთა გ-
 რე... აღშენა ციხე ოძრისისა, რომელსა ეწოდებოდა სამცხე,
 ადგილსა, რომელსა ჰქვიათ დემოთი, მოკიდებულ მთასა
 ლადონისას, და დაუტყვეს შიგან ლაშქარი შემწედ წუნ-
 დელთა, რამეთუ ბრძოლად ოძრელთა წარვიდა, ხალხ
 აზოკ და აზმაზელ არა შეუშინდეს და არა დასცხრეს
 კირთებისგან სომეხთა ზედა. იწყეს ოკსთა სისხლისა
 მათისა ძიებად სომეხთა ზედა, გარდამოვიდეს ქართლად
 და დაემეგობრნეს ქართველთა, და იგინი ქართველთა
 მარადის ბრძოლად სომეხთა. და იუჲ ერისთავი ოძრეს
 ქალაქსა შინა მეფისა აზმაზელისა აზნაურთაგანი. იგი
 დადგრომილ იუჲ სარწმუნოებით ერთგულებასა ზედა
 აზმაზელისას, და მას შეეწოდეს; ხალხ წუნდელნი და
 დემოთელნი შეეწოდეს ერთმანეთსა და დაუცხრომილად
 იბრძოდნენ. უფროსი ბრძოლა იუვის მდინარესა ზედა,
 რომელსა ჰქვიათ ნასტუ და იუჲ გლანჯეთს ერისთავი
 აზოკ მეფისა აზნაურთაგანივე. იგი ავსებდის საზღვარ-
 თა სომხითისათა, ქვეყნისა შარხისისა, რომელ არა ტაოს,
 და ვერჯინ შევიდოდა მანვე გლანჯეთს, რამეთუ შეუკალი
 და მავარი იუჲ ტუითა და კლდითა, და მკვიდრნი გლან-
 ჯეთისანი იუვენს კაცნი მკვირცხლნი და მხედარნიცა. ხა-
 ლა თვით მეფენი ქართლისანი მცხეთით გამაძროკოდან
 სომხითის, გზასა აზოკისას და მარადის ესრეთ ჰკირთე-
 ბოდეს ქართველნი. მაშინ წარმოემართა ძალითა თვისი-
 თა ყოველითა არტაშან, სომეხთა მეფე და სპასპეტი მისი
 სუბსტრუქტის ბიერტიანი. მოვიდეს და დადგეს მცხეთას და
 ჰბრძოდეს სუთ თვე და დღეთა ყოველთა იუვენს ბრძოლა
 ბუბუერაზთა. მაშინ შესჭირდათ ქართველთა და ოკსთა,
 ითხროვეს მშვიდობაი, არა ბუნად სისხლისა და ზღვრისა.
 ისმინა სომეხთა მეფემან კვდრებაი მათი და იქმნა სა-
 თყობი და აღთქმა, და დაიმონნა ქართველნი და ოკსნი
 სომეხთა მეფემან და წარვიდა».

«ხალხი გარდასდეს ამასა შინა წელნი რაოდენნიმე,
 აღშენდა ქართლი მოცხრებულნი სომეხთაგან. მაშინ უცა-
 ლა იქმნეს სომეხნი, რამეთუ იწყეს ბრძოლა სპარსთა
 და ბერძენთა. ჰქონეს ყამი მარჯვე ქართველთა და ოკსთა,
 იწყეს კირთებად სომეხთა, რამეთუ სპანი სომეხთანი
 ყოველნი და ოკნი ბენი მეფისანი სუბსტრუქტითურთ იუვენს
 ბრძოლად სპარსთა. მაშინ არტაშან მეფემან შეკრიბა

სპანი, რომელნი შინა დაწამოდეს, და მისცა მეს-
 თვისსა ზარკენს და წარმოგზავნა ქართველთა ზედა. ხა-
 ლა შეკრბეს ქართველნი და ოკსნი ქვეყნისა ჯავახეთი-
 სისას, და ეწყენეს და სძლეს ზარკენს და არტას იგი და
 მოსრეს სპა მისი ყოველი, და ჰსდგენეს საზღვარად
 სომხითისა. მიეწივნეს ზარკენს, მესა მეფისას, და შეიბ-
 რეს იგი¹ ტბისა მისი პირისა, რომელსა ჰქვიათ ცელი
 და უკმოიყვანეს. ხალხ ოკსთა ჰხებავდა მოკვლას მისი
 სისხლისა წილ მეფეთა მათისას. არამედ ქართველთა
 დაიცვეს ცოცხლებით ძიებისთვის საზღვარათა მათისას,
 დასვეს ზეცხობილად ციხესა დარიალისისას. ვერ ბუნეს
 სომეხთა, რამეთუ უცალო იუვენს სპარსთაგან. ხალხ
 წელსა მესამესა მოვიდა სუბსტრუქტის ბიერტიანი და ოკნი
 ბენი მეფისანი არტაშ და ტიგრანს ყოველითა სპათა
 სომხითისათა. მაშინ მეფეთა ქართლისათა უბრძანეს ქვე-
 ყნისას მათსა შელტოლავა ციხე-ქალაქთა, და მთიულელთა
 განამკრეს ციხენი და ქალაქნი. მოვიდეს სომეხნი და
 დადგეს თრიალეთს. დასდგეს მათ შორის მოციქულნი
 და დანიზაფნეს. მისცეს ქართველთა მე მეფისა შეზერობი-
 ლი და აღუთქვეს შეწივნა ესრეთ: «უკეთუ ვინმე აღსდგეს
 მტერი და მოღმართ ებრძოდეს, ჩვენ ოკნივე მეფენი
 თავით ჩვენით და სპათა ჩვენითა თანა დაგიდგეთ და
 გიშეველოთ და თუ ვინმე მიღმართ ჰბრძოდეთ, ათას-
 ათასითა მხედრითა ჭურვილითა შეგვეწოდით». და ესცა
 აღუთქვეს ქართველთა, ვითარმედ «ქალაქსა ჩვენსა დრამა
 არტაშან მეფისა ხატითა დაესტოლო». ხალხ ამისთვის
 სომეხთა უკმოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა,
 და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტანი, და მიერით-
 გან იქმნეს მოკვარე სომეხნი და ქართველნი და ოკსნი,
 სასნივე ერთგან ჰბრძოდეს მტერთა მათთა. აღესრულნეს
 აზოკ და აზმაზელ ნუგუშინის-ცემულნი დიდად, რამე-
 თუ სამხნითა მათითა უკმოიხვნეს საზღვარნი ქარ-
 თლისანი.»²

1 ამ შემთხვევას მოხე სორენელის მოხსენებებს იხილეთ. იხილეთ. 125.
 2 ქართლის ცხოვრება გვ. 48—51.

ბიბლიოგრაფიული ცნობა.

ო რ ი ო ლ ა ს ი ტ ჯ ვ ა ჩ მ ე ნ ს ა ჯ მ ა ჯ ვ ი ლ ო
ლიტერატურაზე.

„პატარა ბიბლიოტეკა“. წიგნი პირველი. ი. გოგებაშვილის რედაქციით. ამ დღეებში ტფილისში გამოვიდა ერთი პატარა, მაგრამ ფრინად სასარგებლო წიგნი, სათაურით „პატარა ბიბლიოტეკა“, რომლის რედაქცია პირებს ამგვარ წიგნების დრო გამოშვებით გამოცემას. უფ. გოგებაშვილი ამბობს, რომ „ამ ბოლოს წლებში ქართველ მოზარდ ემსწილეებში გაჩნდა მოთხოვნილება საბავშვო ლიტერატურისა“, და „თუ ჩვენ გვსურს ამ მოთხოვნილების გაძლიერება, დროზე უნდა მივამდიოროთ ჩვენ ემსწილეობას შესაფერის და შემოკრთ საზოგადოებრივ ბინას“. ამ განზრახვითაც არის გამოცემული „პატარა ბიბლიოტეკა“. გამოცემულს ჭსურს, შემდეგში, თუ გარემოებამ სული მოუმატოთ, „პატარა ბიბლიოტეკა“ გარდაქმნის საემსწილეო თვიურ უფრინადაც სსკ. თქმის აღარ უნდა, რომ ეს მოკლენება და ეს პირველი დაწეება უფ. გოგებაშვილისა, ძრეულ კეთილი დაწეება და განძახება ჩვენში, ამიტომ ქართველ საზოგადოებას ვაღი ეღება, ამ დაწეებას მხარი მიჭსტეს და სული მოუმატოს ამ ახლად დაბადებულს „პატარა ბიბლიოტეკას“, რადგანაც ეველს ეს ისევე ჩვენის შეილება საკეთილ-დღეობით მოამართულია. ვიდრე შემოსხსენებულის წიგნის გარჩევისა შეუდგები, საჭიროდ ვრანს ორიოდ სიტყვა ვსთქვა საზოგადოთ საემსწილეო ლიტერატურაზე. მით უფრო რომ ამ უამად ჩვენში ისე გახშირდა სსკ და სსკა წიგნების გამოცემა, რომ საჭიროა დაჯავიერდეთ და გასინჯოთ, თუ რა შინაარსის წიგნები უფრო სასარგებლო და გამოსადეგნი იქნებოდნენ, განსაკუთრებით ჩვენის ემსწილეებისათვის.

წიგნის კითხვას ორგვარნი დანიშნულება აქვს: ერთი ის, რომ მიჭსტეს მკითხველს სსკა და სსკა ცნობა, რომლითაც მისი ჭკუა-გონება გახსნილ და განვითარებულ უნდა იქმნეს; მეორე — ის, რომ აღუძრას მკითხველს ძალადი ზნეობითი გძმნობანი.

პირველის მიზნისთვის ძლიერ ბეჭრს დაკარცს მასალის მოგვეძებნ გეოგრაფია, ბუნებითი ისტორია და

აგრეთვე ჩვენი და უცხო ხალხთა ისტორია. მსოფლიო უნდა გვედგოდ, რომ მრავალის ცნობების ერთად გაძრად-ცემით არ დაუფანტოთ ბავშვს გონება; ანამედ ცხადათ უნდა წარმოუდგინოთ ის პირნი, ადგილები და ბუნების მოკლენებანი, რომლებზედაც ჩვენ გვსურს დაჯავიერდეთ ბავშვის გონება. საზოგადოთ პატარებს ძალიან უფრინო და სადისიანად კითხულობენ სსკა და სსკა მოგზაურობის აღწერას, თუ მეტადრე ადგილის თვისებანი, ხალხის ცხოვრების ხასიათი იქნება აღწერილი ცხადად, სიმართლით, მსუბუქად და ცოცხლად. ადგილების აღწერის დროს, მწერალმა უნდა გააცნოს თვის პატარა მკითხველს, სსკათა შორის ამ ადგილების შესანიშნავი მცენარეები, ცხოველები, ჭკვა, მცხოვრებნი, მათი ჩვეულებანი, ადათები, ხელ-საქმენი, საზოგადოებრივი მოწყობილობა და სსკ. ნათლად უნდა აღწერილ იყოს კაცისა და ბუნების შორის ურთიერთობა, კაცის განუწეველი ბრძოლა ბუნებასთან და ადამიანის ცხოვრება, რომელიც დაერთვის ამ ბრძოლას. მაგრამ, ვიმეორებ, უფრინო იყოს ისე კი არ უნდა იყოს აღწერილი, რომ მკითხველის უფრინადაც დანიშნულს მრავალ წერილმან ცნობებში, ანამედ ისე, რომ მას ადვილათ შეეძლოს გამოსატყულის სურათის მთლად წარმოადგენა.

აგრეთვე შეიძლება ვისარგებლოთ ბუნების უფრინადაც მკლენით, წვიმით, ქარით, თოვლით და სსკ. გარდა ამისა შეგვიძლიან, ვისარგებლოთ ცხოველებით, მცენარეებით და სსკა. ბუნებითი მცნიერება აძლევს ადამიანს მკვიდრ და შეურყეველ ცოდნას და ძალიანაც შეეძლას მის გონებითს და ზნეობითს განვითარებას. მაგალითებ, კარგი იქნება აუწეროთ ხალქი ჩვენ ბავშვებს ცხოველთა და მცენარეთა ურთიერთშორისი დამოკიდებულობა; ამ უკანასკნელთა დამოკიდებულობა ჭკასთან და მიწასთან, სადაც იგინი იზრდება; სსკა და სსკა პირუტყუთა ცხოვრება, ჩვეულებანი, მათი ხეობი და ვნება და სსკ. თუ ეველს ეს ცოცხლად და სამართლიანად იქმნება აღწერილი და შემეგული კარგ სურათებით, მასინ ეველს მხრით სრული იქმნება ეს ნაწილი. მსოფლიო ამ გვარ მოთხრობებში სრულიად არ უნდა ჭქონდეს ადგილი იმ გვარ მოკლენას, რომელიც რასოდეს არ აჩვენებს ბუნებაში, რაგორც მაგალითებ პირუტყუთა ლაზარევი, მცენარეების ტირილი და სსკ.

ისტორიის აქვს ძლიერ დიდი გავლენა ბავშვზე და დიდი მნიშვნელობა, როგორც მის ჭკვა-გონებისა, აგრეთვე და ნამეტანად მისის ზნეობის აღზდისა და წარმატებისათვის. ისტორიულ მოთხრობების მწერალმა თავის დღეში არ უნდა დაივიწყოს, თუ რა წილგანობისათვის ჰქონდა იგი თავის მოთხრობას. სხვა აწავითარი მოთხრობა ისე სასტიკად არ მოითხოვს, როგორც ისტორიული მოთხრობა, — არ მოითხოვს მეთქი, რომ შემდეგი გამომდინარეობდეს წინანდელიდან, აწმყო დამყარებული იყოს წარსულზედა. სალი-ძველზედა. ამიტომ თუ ვწერთ, რომელსაზე ისტორიულ პირზე, საჭიროა ავიღოთ იმ გვარი მოვლინებისა ხალხის ცნობებიდან (სადაც ეს პირი მოქმედებდა), რომელნიც ცხადთ გვიხატავენ ამა და ამ დროის სასიათს და ამ მოქმედ პირსაც, როგორც ამ დროების და ამა და ამ გარემოებათა ნაყოფს. ესევე უნდა ვსთქვათ აგრეთვე რომლისაზე ისტორიულის ხალხის სასიათის შესწავლასედა: საგმარისი იქნება აღიწეროს მისი ცნობები, რწმუნება, ჩვეულებანი, ადათები, ტანისამოსი, შენობანი და სხვა ადგილობრივი გარემოებანი, რომელთა გავლენის ქვეშ იგი აღზრდებოდა და მოქმედებდა. მძლავრი (და იქმნება ნამეტანიც) გავლენა უძველესებზედა აქვთ იმ სასელგანთქმულ ისტორიულ მოვლასათა ბიოგრაფიებს, რომელთაც არც შრომა, არც ქაბუნა და არც სიცოცხლე არ დაურთავთ თავისის სამშობლოსა, თუ მთელის კაცობრიობის სეირისათვის. მეტადრე ამ გვარ მოთხრობებს აქვს, მეთქი, განუსაზღვრელი გავლენა უძველესებზედა, რომელთაც აღუძრენ ძელაღს შესწავლით გრძნობას. ენერჯია, თვით-მოქმედება, კაცთ-მოყვარება — აი ის თვისებანი, რომელნიც შემოდის ხანუხერგოს ჩვენ საზღვარდობას სეირიანად დაწვრილმა ღირსშესანიშნავ პირთა ბიოგრაფიამ. ახლა მიუბრუნდეთ სხვა გვარ ლიტერატურას, ე. ი. იმ გვარ ლიტერატურას, რომლის განსაკუთრებითი დანიშნულება (როგორც შემოთავსებელი მოვლისათვის) არსებობს იმაში, რომ აღუძრას უძველესი ზნეობითი გრძნობანი. ამ გვარს ლიტერატურას ეკუთვნიან სხვა და სხვა ზატარა მოთხრობანი და ზღაპრები, რომელთა დანიშნულება გარდა შემოსესებულისა არის აგრეთვე ენის შესწავლა. ამ მოთხრობებში გამოყვანილნი გვამნი უნდა იყვნენ მართალი და ცოცხალი, ე. ი. ნამდვილის, ყოველ-დღიურის ცნობების შესაფერსი, რათა

კითხვას შეეძლოს აღძრას მკითხველში მსჯელობა და შედარება წავითხულისა იმ ცნობებთან, რომელთაც თვითონ ტრიალებს. მაშასადამე, ამ მოთხრობებში გამოყვანილნი პირნი არ უნდა იყვნენ, მაგალითებ, არც მხოლოდ და განსაკუთრებით კეთილნი, არც მხოლოდ და განსაკუთრებით ბოროტნი, არამედ უნდა იყვნენ პირნი, შემკულნი, ყოველის თვისის ღირსებით და ნაკულულებებით, როგორც ამ წუთის სოფლის ჩვეულებრივ გვამს შექმნილნი. ზღაპარი არის ერთი იმ გვარი მოთხრობებთაგანი, რომელიც, როგორც თვისის შინაარსით, აგრეთვე გარეგანის ფორმით, ძლიან შეჭმუკის უძველესებას სასიათს, მის ჭკვა-გონებას და მოთხრობილებს; მაგრამ ზღაპარიც არის და ზღაპარიც. არის ზღაპარი, რომელშიც, სხვა და სხვა სასწაულისა და გასაოცარ მოვლენათა გარდა, სხვა არაფერი არ მოიხილება. ამ გვარი ზღაპარი მართალია მთლად იზრუნებს უძველესის გულსა და გონებას, მაგრამ არამც თუ არავითარ სასარგებლო საზღვარს არ აძლევს მის ცნობის მოყვარებას, არამედ სწავლავს მის თვით-მოქმედებას და უგრძობს მას თავისუფალს სურვილს და მიდრეკილებას. არის კიდევ ზღაპარი, რომელიც მისდევს რაიმე იდეას, აზრს, მაგალითებ ზღაპრები, რომელნიც გვიხატავენ ადამიანის თუ ცხოველების განსაკუთრებით სასიათებს; აგრეთვე ზღაპრები, რომელთაც აღწერილნი არიან ხალხის საყვარელი გმირები და აგრეთვე იგავ-იჩაგანი, რომელთაც ცოცხლათ, თვალ და თვალისათება ბუნება, ადამიანისა და სხვა ცნობების სასიათები, ღირსებანი და ნაკულულებანი. მაშასადამე ზღაპრების სმარებაში წასაკითხავად გვმართებს გაფრთხილება, რომ სასარგებლო და შემოკარ შინაარსი მსხვერპლად არ იქნეს გარეშე მიმზიდველობისა და ინტერესისა.

ახლა მივუბრუნდეთ თვით «ზატარა ბიბლიოტეკასაც.» ამ წიგნში დაბეჭდილია ორი ზღაპარი — «მეფე და ხელოვანი» და «ფაშა-მწუქისი» — და ერთი ზატარა მოთხრობა — «უძველესი გამოდგენება.» ორივე ზღაპარი თავიდან ბოლომდე დაერთვიან იმ იდეას, იმ აზრს, რომ ძლიანს თუ ღირსებს, მეფეს თუ უბრალო კაცს, ყველას და ყველგან ეჭირება რამე ხალხის ცოდნა. აზრი მისაწონია და საჭიროც არის მისი გავრცელება ჩვენს საზოგადოებაში, მეტადრე აწინდელ დროში, როდესაც ყველა მხოლოდ იმას ცდილობს, რომ იცხოვროს სხვისის

შრომით, სხვისის ოფლით, და ანა საკუთარის ნაწევ-
ნადგით.

რაც შეეხება მესამე წერილს, თვით გამომცემელი
ამბობს, რომ მხალხოდ თაბანის შესავსებლად დაბეჭ-
დურ და მით თვითონვე აღიარებს ამ მოთხრობის უკარ-
გისობას.

ამ მოთხრობაში გამომყვანილია ერთი უმაწვილი,
რომელსაც დაჭსძინებია, სიზმარი უნახავს და შიშისაგან
გამოუდვიძნია. ბავშვი სტირის და დედას ეძახის. შამო-
დის დედა. აქ ბავშვი უამბობს დედას ნახულ სიზმარს,
რომლისაგან ბავშვს ძალიან შეჭმინებია და რომელიც უა-
ფილა ამისი გამოდვიძების მიზეზი. აქ დედა გულ-მტკივ-
ნეუფათ აწიგებს და ეუბნება: «ახლა ხომ ხედავ, რომ
შენი სიზმარი ანაფიქროს? გაცს, განა ცოტა რამ მოკლენ-
დეს სიზმარში? გაიღვიძებს და ყველა გათავდება: სიზ-
მარი ნისლისავით გაჭქება; სიზმარისაგან არც კარგი, არც
ცუდი არა წარმოსდგება რა და სხვ... შეძლო ბავშვი
უამბობს დედას მეორე ნახულ სიზმარსაც—ერთი ინი-
ნი უფილან ერთ საწყალ ქვრივთან, რომელსაც ორი
ვათ-მეოფი შვილი ჭყავს და რომელსაც საჭმელი არა
აქვს შვილებისათვის. უმაწვილი ცრემლებით სასვე თვა-
ლებით ეუბნება დედას,—წავიდეთ იქაო, ჩემი წილი
თუთი პური ჩაიხე არ მინდაო, იმათ უნდა წაუდგო, მე
შავ-პურსაც ვარკათ შეჭქვამო. დედაც ეთანხმება შვილს და
ძიდან ქვრივის სახლში... საქმე იმაში გახლავს, რომ
დედა, ამ მეორე სიზმარის ნამბობის დროს, ეუბნება
შვილს: «ჩა, ეს კი უბრალო რამ არ არისო და სხვა!»
რა შთაბეჭდილება უნდა გამოიტანოს ამ მოთხრობიდან
ცოტათი მახვილ-გონებისა ბავშვი? არ ჭკითხავს ან
სხვას, ან თავის-თავს: «ეს რა ამბავია: ჯერ დედა ეუბ-
ნება შვილს—სიზმარი ანაფიქროს, ნისლისავით გაჭქე-
ბო, სიზმარისაგან არც კარგი, არც ცუდი არა წარმოს-
დგება რა და მეორე ნამბობ სიზმარზე კი იგივე დე-
და ეუბნება—ჭო შვილო, ეგ კი უბრალო რამ არ არისო
და სხვ?» ამ ცრუ, არა ჭეშმარიტს საფუძველზე დაწე-
რილ მოთხრობას, თუ დაუძატებთ, ამავე მოთხრობის
დასასრულ სიტყვებს—«გეთილია ბავშვი, რომელიც სიზ-
მარშიც კი არ ივიწიებს ღაჩაბებს! ბედნიერია ბავშვი,

რომელსაც შეუძლიან ცხადივ მიჭსტეს მათ შემწე-
ობა!» მამის კი სრულიად წარმოიდგენ, მკითხველს, ამ
შთაბეჭდილებას, რომელსაც იგი მოასდგენს შენზე,
ჩემზე და ჩვენ პატარა მკითხველ ქართველზე!
ვიძეოტებ: ჩვენ უნდა აღვზარდეთ უმაწვილობა, ო-
მელიც ცრემლისა ჭღვრიდეს ანა მგრძნობიარე სიტყვა-
ბის გამო (რომელნიც იმავე წაში თავლისავით დე-
ბიან), ანამედ თვით მომხდარის მაგალითის შემადრწე-
ნებულის ხასიათით, რომ მის გული უგვდებოდეს თვით
ნამოქმედარის საქმისაგან.—და მაშასადამე აღოკმინებ-
დეს კიდევ კეთილისადმი!.. პიჩველის ორის ზღაპრის
წავითხვას კი ჩვენ დიდის სიამოვნებით გუჩჩვეთ ყველა
ქართველ დედ-მამის შვილებს, მხალხოდ ზოტიერთის აღ-
ტილების აღხნით კი.

ჩვენში, კითხვის შემწეობით მანც უნდა ჭწავლობ-
დეს სალ-გაზდობა და სალხი სხვა და სხვა გოგონა-
ფიულ ცნობებსა, რადგანც ამ უამად ამას არც ერთ სა-
ხალხო შეკლასში, არ აცოდინებენ ხალხე მწაფიებსა,
თუტა ნამდვილი სახალხო შეკლისაგან შეგვედო მოგ-
კეთსოვა ამ გვარის სწავლებაც. მამ როგორ უშველათ
ამ საქმეს? აქ ერთათ ერთი სახსარია: ისე მანცაუღლნათ
ხალხე შენიშვნებით, როგორც მაგალითად ი. გოგობა-
შვილს აქვს აღხნილი ინდოეთი «საყმაწვილო კონაში»
მე-30 გვერდზე: «ჩვენს საქართველოდგან, რომ აღმო-
საყლეთ-სამსრეთისაგან წახვიდე, ჯერ სწავლეთში მიხვალ,
მერმე ექვსი-შვიდი თვის მოგზაურობის შემდეგ, მიად-
გები ერთ დიდ ნახევარ-გუნდულსა, რომელიც მეტათ მდი-
დარის მცნარეობით არის შემკული. ამ ნახევარ გუნ-
დულს ჭქვიან ინდოეთი.» სწორეთ-ამ გვარათვე რომ
აღხნილიყო—ბაღდადი, არაბეთი, სმირნა, ინგლისი,
სირია და სხვა, რომელნიც შეჭხვებთან მკითხველს მე-
რე ზღაპარში, უმეობესი იქნებოდა!

ამ გვარათვე უნდა ახსნას ხალხე უცხო ერის
სიტყვება. ანუ რა საჭირთა ახსნა, რადესაც პირ-და-
პირ ჩვენ ენაზე შეიძლება იმა სიტყვების სმარება და
გამოთქმა. მაგალითად, რა საჭირთა იყო სიტყვა «ზიან-
ტრის» სმარება? რა ჭწავობდა «მილიონი პიანტრო»
თქილოფოს სიტყვა «მანეთის» ხმარებით? მაშინ ჩვენც
უკეთესათ გავიგებდით, მკითხველო, და ჩვენი პატარა
მკითხველიც.

აგრეთვე სიტყვა „ფაჩა!“ ეს სიტყვა ხმატბულია მე-14 გვერდზე, ახსნილი კია (კაპიციის ნაწილით) მე-23 გვერდზე. და სხვა....

იმედი გვაქვს, რომ ამ შენიშვნებს რედაქცია „პატარა ბიბლიოტეკის“ უუარაღებეს მიაქცევს და შემდგომისთვის გამოიყენებს. დასასრულათ, მივიძინებთ რა, ხვეწ სხვადასხვა მწერლებისადმი ვისურვებ, რომ მათ დიდის გულ-მოდგინებით სული მოუძინონ „პატარა ბიბლიოტეკის“ რედაქციას, როგორც სხვა და სხვა საკითხები სტატიების გამოგზავნით, აგრეთვე ამ გვარის წიგნების სახლობაში და განსაკუთრებით სახალხო შრომებში და ხალხში გავრცელებით!

ყველა შემოდ თქმულიდამ, მგონია, კარგათ დაიხსნა მკითხველმა, თუ რა დიდი გავლენა ქქონია უმაწვილობის ჭკუა-გონებითს განსნაზე და მხსნეობითს აღზრდაზე კარგის წიგნების კითხვას. ამიტომ ყველა მშობლის და მასწავლებლის ვაღიან დაუღალავათ თვალ-უური ეჭირნათ, თუ რა წიგნებს კითხულობენ პატარები. უმაწვილობამ არ უნდა იკითხოს ბევრი, რადგანაც ეს ატრენს მათ სხვა, უფრო საჭირო საქმისთვის და ანთმებს ძლიერ ბევრ თავისუფალ დროს. ამას გარდა უური უნდა უტყვოს, რომ უმაწვილობა კითხულობდეს გარკვეულ და დაკვირვებით. ამისგან კარგი იქნება დრო და დრო გამოშვებით ხოლმე წაკითხულზე სხვა და სხვა საუბრითა და შედარებით გამოკვითხონ ხოლმე მათ, თუ რა წაკითხეს, განსაკუთრებით რამ მიიზიდა მათი უუარაღება, რომელი მოქმედება (რომელი პირისა) უფრო მოქმედნით, რომელი არა და სხვა. გერე მოიქცნით, მაგრამ ყოველთვის გამოუდნებით კი არ, არამედ კარგის შემთხვევის დროს, რომ უმაწვილობა არ ჭსწუხდებოდეს თქვენის მუდმივის საუბრით და გამოკითხვით.

ბევრჯერ ძალიან უხარბანთ ხოლმე, რომ პატარებმა ძალიან შეიყვარეს კითხვა. აქ დიდი გავლენა ექმნება გემართებს, რადგანაც ბევრ კითხვას, ძლიერ დიდი კნება მოაქვს ჯანმრთელობის წესიერათ განსნისათვის; ამას გარდა მომეტებული კითხვა, აძლევს ბავშს უდროვოდ მომეტებულ გონებით განსნილობას; ბევრჯერ ცნობის მოყვარება გარდაიქცევა ხოლმე მხალხოდ კითხვის სიყვარულათ, ესე იგი უმაწვილი კითხულობს მხალხოდ

იმისათვის, რომ როგორმე მარდ სელზე შეიტყოს სახალი ამბავი და სხვ.

ცუდის შინაარსით წიგნს ცუდი შედეგქმედება აქვს ხოლმე ჯერ დიდზე, და რაღა უნდა ვსთქვათ პატარაზე, რომლებშიაც ჯერ არც ჭკუა, არც ხასიათი, არც გრძნობანი, ერთი სიტყვით, არაფერი არ დამყარებულა? ამას გარდა თუ წიგნში აწერილია არა ნამდვილი ცხოვრება, მაშინ ხომ მკითხველი სულ მოტყუებულია თვალთ დაუწყებს ყურებას, და როდესაც თვითონვე გამოვა ცხოვრების საზრუნოზე, იგი სწულიად იკარგება მის ტრიალში, რადგანაც ნამდვილცხოვრებაში იგი სულსხვასა ჭსკდებს და არა იმას, რაც ამას წიგნით გაუგია და უსწავლია. ჩვენ თავის დღეში არ ვიტყვით იმას, რომ წიგნს შაუდლიან ამცნოს უმაწვილს ცხოვრება ისე, როგორც თვითონ ნამდვილი ცხოვრება აცნობინებს ხოლმე თავის თავს. არა, — ჩვენ მხალხოდ იმას ვამბობთ, რომ წიგნი ჭსკდელის ნამდვილის ცხოვრების გაცნობას და შეჭსწავლას, იმ ცხოვრების შეჭსწავლას, რომელიც ბავშვი ყოველ დღე ბრუნავს და რომელსაც იგი ყოველ დღე ჭსკდავს. წიგნი აძლევს შემთხვევას შეადაროს წაკითხული ცხოვრებაში შენიშნულს მოვლინებას და სხვ. ჩვენ უნდა ვეცადოთ ავღძნათ უმაწვილობაში სიყვარული კითხვისადმი არა მხალხოდ კითხვისათვის, არამედ სხვის შეუწყვლად ცნობის შეძენისათვის. თუ მშობლები და მასწავლებლები წიგნთან, ერთად არ ეცდებიან მაგალითით, საქმიან და მოქმედებით აღძრან უმაწვილობაში მხსნეობითი გრძნობანი, მაშინ რასაკვირველია, რომ ბავშვი მატრო წიგნიდამ ვერა დროს ვერ შეითვისებს ძალად გრძნობებს. მხალხოდ მაგალითთან, გამოცდილებასთან, ცხოვრებასთან ერთად წიგნს აქვს დიდი მნიშვნელობა და ძალიანც ჭსკდელს უმაწვილობის წამდატებით აღზრდას.

ენო.

26 მაისს 1878 წ.